ფრინველის ბუდე

იცი, როგორ აშენებენ ჩიტები ბუდეს? წაიკითხე ტექსტი და გაიგებ, როგორი „მშენებელია" ზოგი ფრინველი.

ყველა ფრინველი კვერცხს ბუდეში დებს. ისინი იქ ზრდიან თავიანთ პატარებს. ბევრი მათგანი ბუდეს თვითონ იშენებს. ბუდისთვის ზოგი ხეს ირჩევს, ზოგი – ბუჩქს, ზოგიც – მიწას.

ბუდის შენებას დიდი შრომა სჭირდება. ფრინველი ჯერ ადგილს მოძებნის. ეს ადგილი მტრისგან კარგად უნდა იყოს დაცული. შემდეგ იწყებს მასალის მოზიდვას. თან ბუდის კედლებს აგებს.

მაგალითად, შაშვი ბუდეს **ჩალისგან** აგებს. შიგნიდან კი **ტალახით** ლესავს. ბელურა ბუდისთვის იყენებს ბალახს, ბუმბულს. მერცხალი ბუდეს ტალახით იშენებს. ის **ჩხირებსა** და ტალახის ნაწილებს ნერწყვით ამაგრებს აივნის ჭერზე. ასეთი ბუდე რამდენიმე წელსაც კი ძლებს.

როგორც ხედავ, ბუდე მრავალი სახისაა. ყველა ბუდე **საიმედო** ადგილია ბარტყებისთვის.

შენი აზრით, როგორ უნდა მოვექცეთ ჩიტის ბუდეებს?

დონე: *A გარდამავალი,* **კომპონენტი:** *მთავარი აზრი და დეტალები*

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რას ვიგებთ პირველი აბზაციდან?

ა) როგორ არჩევენ ფრინველები ბუდისთვის ადგილს.

ბ) როდის დებენ ფრინველები კვერცხებს.

გ) სად დებენ ფრინველები კვერცხებს.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?

ა) ბუდეს ფრინველი ბარტყების გასაზრდელად აშენებს.

ბ) ბუდეს ფრინველები სხვადასხვა მასალისაგან აგებენ.

გ) ფრინველის ბუდე რამდენიმე წელიწადსაც კი ძლებს.

3 რომელ დეტალზეა საუბარი ტექსტის მეორე აბზაცში?

ა) რა დრო სჭირდება ფრინველს ბუდის ასაგებად.

ბ) როგორ ადგილს ირჩევს ფრინველი ბუდისთვის.

გ) სად ეძებს ფრინველი მასალას ბუდისთვის.

4 რის შესახებ <u>არ არის</u> საუბარი ტექსტში?

ა) რით ლესავს შაშვი ბუდეს.

ბ) რომელი ბუდეა ყველაზე დიდი.

გ) სად იშენებს მერცხალი ბუდეს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

ბუდე **<u>საიმედო</u>** ადგილია ბარტყისთვის.

ა) სანდო. ბ) საუკეთესო. გ) საუცხოო.

2 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ჩალა	წყალში აზელილი მიწა.
2. ტალახი	ხის წვრილი ტოტის ჩამონატეხი.
3. ჩხირი	მარცვლეული მცენარის ხმელი ღერო და ფოთლები.

▶▶▶ გრამატიკა

1 1. რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

1. ფრინველი ---------- ბუდეში დებს.

   ა) კვერცხი. ბ) კვერცხმა. გ) კვერცხს.

2. მერცხალი ტალახის ნაწილებს ---------- ამაგრებს.

   ა) ნერწყვი. ბ) ნერწყვით. გ) ნერწყვს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ისინი ზრდიან ---------- პატარებს. *(თავიანთ / თავის)*

2. ადგილი ---------- კარგად არის დაცული. *(მტრისაგან / მტრიდან)*

3. ზოგი ფრინველი ბუდისთვის ხეს ----------. *(ირჩევენ / ირჩევს)*

3 შეარჩიე სწორი ფორმა.

1. ბუდის შენებას დიდი შრომა ----------. *(ჭირდება / სჭირდება)*

2. ბუდე ბარტყს იცავს ----------. *(მტრისგან / მტერისგან)*

გრამატიკა

4 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: ღერო – ღეროები.

1. ბელურა – ----------.
2. მერცხალი – ----------.

5 რომელი <u>არ არის</u> სწორი?

ა) გარეული ფრინველები. ბ) ლამაზი ფრინველები. გ) ყველა ფრინველები.

წერა

1 ტექსტის მიხედვით დაწერე, რა მასალას იყენებენ ფრინველები ბუდის ასაგებად.

2 წარმოიდგინე, რომ ერთ-ერთი ფრინველი გვიამბობს, როგორ აშენებს ბუდეს. დაწერე მისი ნაამბობი პირველ პირში (მე ვარ ... მე ჯერ ვეძებ...). **გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____